

2

“ უგდიდიდგან. ამას წინეთა გწერ-
ლით, რომ აქ გახშირებული ქურდობა
არის მეთქი. მართლადაც ქურდობა და ავა-
ზაკობა ისე გახშირდა აქ, რომ ავერ ერთი კვირა
მეტია რამდონიმე ქურდი და მცარცველი
ესხმის ზუგდიდის ბაზარსა. თითქმის ყოველ
ღამ. სამს ღამეს ზედი ზედ გაუგეს ქურდებსა
და კიდეც გამოვდეონენ, მაგრამ სამივეჯირ
საუბედუროთ წაუკიდნენ. მესამე ღამეს ე. ი.
7 ფეხერვალს, ღამის მეთობრმეტე საათზე დას-
ხმოდნენ რეა ცხენოსანი კაცნი ბაზარსა. მე
ამბავი გაიგეს ყარაულებმა და დაუწყეს კიფი-
ნით დევნა: სხვათა შორის გამოვკიდა იმათ
უკან აქაური პოლოცის პრისტავი და, რო-
დესაც ერთ ქურდთაგანს წამოეწია, მოუ-
გრუნდა ეს ქურდი და შივ შებალში ჰერა
ორი ტყეია. პრისტავი ნახევარ საათს უკან
მოკვედა; ნახროლი არის დამბაჩისა: ერთს
ტყეიას გაემტერია შებალი, გაეცნერიტა მთლათ
ტყეინი და დამდგარიყო მეორეს მხარეს ძვალ-
სა და ტყეინს შეუ; მეორე ტყეიას წინიდან
დაწყობილი ყურის ძირამდინ სულ მიელეწა
მარცხენა ყბა და გავარდნილიყო მეორე მხა-
რეს.

ამ საქმის შემდეგ, როდესაც თითქმის შეი
ბაზარში ასე ავაზაკურათ მოპლეს პოლიციის
პრისტავი, პოლიცია უფრო გაფოხილებულია
და უფრო თაღარიგიანათ იჭერს საქმეს; შეი
ზუგდიდში ყარულები გააჩმირეს.— როცა ეს
მკვლელობა მოხდა დამე მთეარიანი და ნა-
თელი იყო....

3.

9 თებერვალს.

ନେଇବୁକୁଳିଲାଗାନ୍ ଡାୟମ୍ବନ୍ଦ୍ରେବ୍ରେଲି ମହିନ୍ଦ୍ରେବି
ଗାମର ଅଥ ନେ ଶି ଏଣ ପଦ୍ମପଦ୍ମବା ଗାଗରଙ୍ଗେଲ୍ଲବା ଉ-
ତୀରକାନ୍ତାନ୍-ମନ୍ତ୍ରାନ୍ତାବିନ୍ଦୁରେ ଶ୍ରୀତୁଳିଲା— “ହିନ୍ଦୁ
ଶୋଭାନିବିଲି ମହିନ୍ଦୁ” ।

ავენი უგეღური ეჭიგნობაროვა ამ საუ-
კუნია.

(დასასრულო).

კაცია, ადამიანი. მოთხრობა ის. ჭავჭა-
ვაძისა. გამოცემული 8. ბეთანიშვილისაგან.
პეტერბურგი, 1869 წ.

ჩევნ უნდა ვშობით ჩევნი მყობადი,
ჩევნ უნდა მიგსცეთ მომავლი ხალხს....
„ უკელა იმის თხზულება ამბობს: რაც იყო-
იყო, წარსული დაივიწყოთ, ეხლა „ხალი
პური გაეტეხოთო“ არსად ცხადათ არ ამბობს,
სრულიად სწყვეტს ყველა კაშირს წარსულ-
თან, თუ აღრინდელ შნო-ლაზათზედ და კი-
ლოზედ უნდა იძლეროს, აწინდელისთვის სა-
ძირკველი წარსულში უნდა ეძებოს, ჩეგორც
რიგია; — ამასე ამბობს პოეტისგან მოყვანი-
ლი ლეიბნიკის სიტყვები: „წარსული მშობე-
ლი არის აწინდელისა“ და, თუ შვილის ცნო-
ბა გინდა ჩევნ, ანდაზას გაუგონოთ: „დედა
ნახი. მამა ნახა — შვილი ისე გამონახები“; არი

ჩენ თავსა, მაშინვე დავრწმუნდებით, რომ
სწორეთ სისხლი სისხლთა მათთაგანნი
(თათ ქარი ი ძეგლთაგანი) და ხორცი
ხორცთა მათთაგანნი ვართ და უფრო დას-
კინი ვართ, რადგან ვითო მ ჩენ უფრო ბე-
ვრი გვეყურება.— „ვისაცა მიეცეს ბევრი, ბევ-
რიც მოელოს მისგან“... მაგრამ რაც უნდა
იყეს უსაგნობაც ცუდი მგრძნობელი კაცის-
თვის; ცხოვრება ხელელებს უკრავს მას. ილ.
ჰავჭავაძე ერთს ლექსში ამბობს: „ჩენ უნდა
ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს“—თუ იმ
ვარსკვლავის ძებნაზე გვიპატიუებს, რომელიც
ვითომ უცელებან ერთნაირათ ან ა-
თებსო, ასე ვთქვათ, კოსმოპოლი-
ტური ვარსკვლავისაკენ, ამაზედ
უკაცრავათ ნუ ვიქნებით, ჩენ ხელი დაგვი-
ბანია ამისთანა სტუმრობისაგან, მიიპატიუოს
სხვა, ვინცა ნებავს და, თუ ამას არა გულის-
ხმობს აქა, მაშინ გაებედავ სხვა მხარისკენ მი-
ვიწვიო: პოეტის ყურადღებას მიეაქციეთ ჩენ
წარსულ ცხნერებაზე ცდ, სადაც მახ-
ვილ-გონიერი, მგრძნობელი კაცი უხვად იპო-
ვნის საუჯერა, მრავალ გვარ და ფეროვან
საზრდოსა თავის მხურვალე გულისა და ნი-
ჭისათვის, რომ ამ ყოვლად განმაცხოველე-
ბელი ცვარით ასხუროს გრძნობა-მიხდილი
ხალხი და თითონაც ასცდეს თათ ქარი ი ძე-
ობა: ა, რომელშიაც მიიყვანა პოეტი სხვათა
შორის უთუთო აწმდებომი დროს უსაგნოე-
ბამ და სიმკირემ მაღალ პოეტიური წარმო-
დგენისთვის და ვრცელი თხზულებისთვის,
რომელშიაც კი პოეტს შეეძლოს გამოახვიოს
და გამოხატოს პოეტის გულის თვით საყვა-
რელი და ძეირუასი ჰაზრები. დიდი ჰაზრის გა-
მოსახატავათ დიდი შემთხვევა უნდა აიღოს
საგნათ! მეტადრე როდესაც რომ ჩენი მამულის
წარსული დრო საცხა სამწუხარო, მაღალ
ტრაგედიული შემთხვევებით და პირებითა;
დრამებ შეა ორიოდე ნათელ საკუნოსაც
იპოვნის კაცი ჩენ სტუმრიაში, რომ უნდო-
დეს: ჩენ მამულს „თავს ბევრი გადახედია, ას-
ჯერ უნახავს მრისხანედ, მომლიმარეთაც ბედია!“
მოელი წარსული დრო ჩენი ხალხისა თით-
ქმის მარტო ლექსად არის გამოსათქმელი თა-
ვის მაღალ დრამატიკული ბედის წერითა *).
ჩენი მატიანებიც (წელთ-აღწერა) თითქოს
განგებ არიან შედგენილნი, რომ პოეტს ფან-
ტაზია და გამოხატულება ალუგზნან, ლექსის
საგანი მისცენ, სინამ ისტორიკოსს მტკიცე
მეცნიერებისთვის ემსახურონ მასალათა! ბე-
ვრი ნამდევილი ქართული გულის და სულის
ამოოხცერილი და გამოთქმული ლექსი დაკ-
*) აქ ნუ დავივიწყებთ ერთად ერთ ნიმუშს წარ-
სული დროს წარმოდენისას, მშევნიერ, ლირს მიბაძვის
8. ჩენულების თხზულებას: „თათ ბარ ბატო ნის-
შვილი, ისტორიული რომანი წარმოდგენით, იმ დროს
ზნების, ჩენულების, წეს-ადათის და საქართველოს
დამოკიდებულების სხვა და სხვა შევენებთან ცოდნით.
საკორველის გრძნობით მოთხოვთა, ნათლათ და ცხა-
დათ აღწერა სხვა და სხვა შემთხვევისა, სცენებისა და
მოქმედ პირებისა;— ბევრი ალაგია საშინლათ შემძრე-
ლი და შემარტეველი კაცის გულისა, ბევრი თვალი არ
იყო მშრალი იმ სცენის კითხვის დროს, სადაც მამა და
შეიღი ოცი წლის შემდეგ საპყრობილები შეხვდებიან
და ეს მოქმედება ყველა მწერალს არ შეეძლიან, ბედ-
ნიერ ნიჭის მოითხოვს.— მს წიგნი ღირსია საკუთარი
განჩევისა; მაგრამ ჩენ მწიგნობრებმა ღირსეული უშ-
რადლება არ მიაქციეს: ჯერ ერთი ამიტომ, რომ ეს
რომნი „ცისკარში“ იბეჭდებოდა, მეორე ესა რომ მგონი
აეტორი ახალ მოდის რუსთუმებს არ ეკუთვნის, და იქ-
ნება თერგის წეალიც არ ეხმიოს (ოო, უმეტებავ!) ჩენი
მჯდაბნელები კი აღრინდელ მწიგნობრებ და ფარისე-
ვებლასავით გაიძხიან, რომ „ზალილიადგან განა“ კეთილი
რამ იქნებათ, წინასწარმეტყველი იქიდგან მოვაო!..
მს კიარა თუ მართლა სწორეთ იქიდგან მოვიდა; მესამე
მიზეზიც ეს იყო, რომ ის ტორი იყდ ნაციონა

ქრის ჩვენი კვეყნის მთა და ბარში: მუჭატელი მომართებული თავის სალამურზედ და მენახირე თავის სტრილ-ქარაზლაზედ მეტ წარსულ დროს გმირს იხ-სენებენ და ამკობენ ლექსითა და, როგორც მშვენიერად ამბობს აკ. შერეთელი, „თავის კვნესით აფონებენ საქართველოს მწარე მოქ-მას“. — ხალხის ლექსში და მესხიერებაში არ გაწყვეტილან დიდი გმირების თამარის და მრე-კლეს სახელები; მეტადრე ამ დიდ ქალს ეხვე-ვა ჩვენი ხალხის პოეტიკური ფიქრი: —

„თამარ მეფე ღმერთს უჟარდა, ციდამ ჩამოესმა
რეა,
იალბუზზე ფეხი შედგა, დიდმა მოეპმა შექნეს
დრეა!...“

და ამისთანაებს გასძახის მშვენიერ ეკვლესის ანუ ციხე-დარბაზის ნანგრევზედ რომ ჩამო-მჯდარა მწყემსი, რომელიც ჰერი, რომ დი-დი თამარის ნაშინი არისო. ვისაც კი გრძნო-ბით საესე გული აქვს, ბეღნიერი გამოხატუ-ლება და ფარტაზია, ნიჭი, რომ ხალხის სურ-ვილს და ლექსის კილოს მიხედვები, იმის გამო-უკვლეველ ლტოლვაში ჰაზრი და წალილი გამოჩხრიკოს, რაც ხალხს საუკუნეთ განმავ-ლობაში წარმოუშობნია, უმოქმედნია, უნა-ხავს შავნი და კარგნი დღენი, უფიქრია, უო-კნია, ტანჯულა და ეს ხშირათ მარტო შო-რში, ანდაზაში და არაკში გამოუთქამს, — აი ეს ხალხის სული და გული გაიგოს და ხელო-ვნების ძალით უფრო გაამშვენიეროს, — იმ კი. ლოზედ დამღეროს, — აი, ამითი მოიპოვებს უკედაებას პოეტი და იმისი თხზულება მაში-ნაც სამუდამოთ იცოცხლებს. მე აქ არა ესა-ჭიროებ, რასაკირველია, სახელდობ ჩამოვ-თვალო, ისეც გაგდელდა ლაყბობა, — მარტო მოეიგონოთ ის ფაქტი, რომ თვით უდიდესი პოეტები, ისტორიკოსები და სხვ. ექცედნენ საზრდოსა თავის გულისა და ნიჭისთვის მამუ-ლის წარსულ დროში მაშინაც, როდესაც აწ-მდგომიც საქმაოდ აძლევდა შემთხვევასა და საგანსა მოქმედებისთვინა. ვამბობ, თუ არა ნებავთ მარტო სხვა და სხვა კაცომუყვარების (ფილანტროპის) საგნებს დამღერონ მეთქი, ან სულ უსაგნოთ დარჩნენ, უნდა ჩვენი ხალ-ხის წარსულ დროს მიმართონ ჩერენმა მოლე-ქსეებმა. აქამდინ ბატონ-ყმობა იყო იმათი საგანი სიმღერისა, მაგრამ ეს გადაწყდა; ძევლ სამართალსაც ხომ ბოლო მოეღო. მხლა მო-მავალ წარმატებაზედ თუ იოცნებენ, მაგრამ მე გაებედავ მოვახსენო, რომ ვინც წარსულით და აწმდგომით კარგათ ისარგებლებს, ის აუ-ცილებლივ უმზადებს ბეღნიერ მომავალსა თავის ხალხსა.

საზოგადოთ ვისურეოთ, რომ უ. ილია ჭავჭავაძე სიცოცხლის და ბუნების წინააღმ-დეგ არ მოიქცეს, რომლების პირეელი და უკანასკნელი დანიშნულება, თეისება არის მოძრაობა, „მ ო ქ მ ე დ ე ბ ა“ — და არ გვათ-ქმევინოს თავის თავზედ ისა, რაც რამდენიმე წლის წინ, როცა გული ერჩოდა, ბეგრ კარგ საქ-მეს მოჰკიდა ხელი და ვერც ერთი ვერ დაასრუ-ლა, წარმოსთქვა ისე უდროვოთ, უბედურად გაფუჭებულს შეუბრალებილი სიკვდილის ხე-ლით პოეტზედ ცოტა სხვა სიტყვით: ყრმო პოეტი, ულვოთ იყო შენი უკუწირვა...“

ნუ დაევიწყებთ აგრეთვე მაღალ ნიჭირ, ადგილ სასმენელ და საგრძნობელ, ტკბილ ხშივან ლექსებს აკ. შერეთლისას, რომელიც ახლო მისდევს ილ. ჭავჭავაძესა და ზოგიერ-თი ლექსის ლირსებით კიდეც სჯობია ბე-გრით ილ. ჭავჭავაძესა; მეტადრე ლექსებში სჩანს ესა. მაგ. ლექსები: „სიმღერა მკის დ რ ი ს“ „მუშური“ და სხვ. მარტივათ და ცხა-დათ გრძნობის გამოთქმით, ხალხური ლექსთ-წყობის მიბაძვით, ძალა-დაუტანებელი მომდინა-რეობით, აგრეთვე მარცვლის რიცხვით და ზო-მით, წმინდა ნაციონალურ, თითონ ხალხის ლექსებს შეადგენენ და მოაგონებენ კაცსა შე-უთხზავ, ბუნებით პოეზიასა: მაგრამ საზოგა-დოთ აკ. შერეთლის ლექსები ლარიბნი...

